ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4139644

ნომერი: AR1624335

თარიღი : 21.08.2018

გაცემის თარიღი : 29.08.2018

გაცნობის თარიღი : 30.08.2018

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა სულხან ცინცაძე , N 37;

დამკვეთი-განმცხადებელი
- გიორგი ტრაპაიძე პ/ნ 01030036519
- ქ. თბილისი, მოსაშვილის #11

ორგანიზაცია:
- მპ დეველოპმენტი კოდი: 404960217

ნომენკლატურა :

- I კლასი
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პანდუსის მოწყობა რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ:

იმისათვის, რომ სამსახურმა იმსჯელოს აღნიშნულ საკითხზე, საჭიროა გაითვალისწინოთ შემდეგი _

წარმოსადგენია განახლებული ფოტომონტაჟი პანდუსის იერსახის დატანით, ასევე ასახეთ აღნიშნულის დახრის პროცენტულობა.

საპროექტო პანდუსის მოწყობისას გაითვალისწინეთ, რომ დაცულ უნდა იქნას „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის სივრცის მოწყობისა და არქიტექტურული და გეგმარებითი ელემენტების“ ტექნიკური რეგლამენტის (დამტკიცებული საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 იანვრის N41 დადგენილებით) მოთხოვნები. შესაბამისად წარმოსადგენია აღნიშნულის ესკიზები შესაბამისი ზომებისა და ექსპლიკაციის მითითებით.

ასევე, საჭიროა რუკაზე მონიშნოთ მიწის ნაკვეთი რომელზეც ხდება საპროექტო სამუშაოების განხორციელება და წარმოდგენილ იქნეს საპროექტო სამუშაოების განხორციელების უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით შშმ პირთა პანდუსების მოწყობა ხდება წითელი ხაზების გარეთ, სსიპ თვითმმართველი ქალაქი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კუთვნილებაში არსებულ ტერიტორიაზე.

აქვე გაითვალისწინეთ, რომ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში არ წარმოადგენთ შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.